ENERGO-PRO

JSC ENERGO-PRO GEORGIA
19 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერგო-პრო ჯორჯია"
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.19
0186 თბილისი, საქართველო

N2355058
23.08.22

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს
მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის 150.

ქალბატონო თამარ,

სს „ენერგო-პრო ჯორჯია" გეგმავს 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ჩოლურის" რეკონსტრუქციას.

„ჩოლურის" ელექტროგადამცემი ხაზის რეკონსტრუქცია წარმოადგენს ლენტეხის ელექტრომომარაგების გაუმჯობესებისა და საიმედოობის უზრუნველყოფისთვის აუცილებელ პროექტს, რადგან არსებული მდგომარეობით ელექტრომომარაგება ხდება ერთადერთი 35 კვ ძაბვის ეგხ „მურით" და სხვა სარეზერვო კვების წყარო არ არსებობს. პროექტით იგეგმება არსებული ეგხ-ს 52 საყრდენის გამოყენება და 17 ახალი უნიფიცირებული და სპეციალური კონსტრუქციის საყრდენის მონტაჟი.

ელექტროგადამცემი ხაზი იწყება 35/10 კვ ძაბვის ქვესადგური „ლენტეხიდან", საავტომობილო გზის გასწვრივ მიუყვება მდინარე ცხენისწყლის ხეობას და შედის ქვესადგურ „ჩოლურში".

35 კვ ძაბვის „ჩოლურის" ელექტროგადამცემ ხაზს მოიცავს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის მაღალი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების ფუნქციონირებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N 2-830; 17/09/2020).

საქართველოს კანონი - გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად - გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ჩოლურის" რეკონსტრუქციის პროექტის სკრინინგის ანგარიშს.

დანართები:

- 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ჩოლურის" რეკონსტრუქციის პროექტის სკრინინგის ანგარიშის ბეჭდური ვერსია;
- 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ჩოლურის" რეკონსტრუქციის პროექტის სკრინინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია;
- 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ჩოლურის" კოორდინატები (Shp ფაილები და GPS კოორდინატები);
- სს „ენერგო პრო ჯორჯიას" პასუხები სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 22 ივლისის N 21/3758 წერილში მოცემულ შენიშვნებზე.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
„25" 08 2022 წ.
№ 4328

პატივისცემით,

გრიგოლ მამისეიშვილი
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე